



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კაცია II დადიანი

კაცია II დადიანი, ოდიშის მთავარი 1758–88, ოტია დადიანის ძე. 1757 ოდიშის დამხმარე ლაშქარს ხელმძღვანელობდა ხრესილის ბრძოლაში. 1770–71 დას. საქართველოში მყოფ რუს. კორპუსს ეხმარებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში (რუს. წყაროების ცნობით, საკმაოდ ორჭოფული პოზიცია ეკავა). 1780 კ. II დ-მა სოლომონ I-ის დახმარებით რუხის ბრძოლაში დაამარცხა აფხაზეთის მთავარი. შემდეგში იგი აქტიურად ერეოდა აფხაზეთის სამთავრო სახლის შინაურ საქმეებში; ეხმარებოდა ზურაბ შარვაშიძეს თავისი ძმისწულის – ქელაიშ-აჰმედ-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ დაეხმარა დავით გიორგის ძეს იმერეთის სამეფო ტახტის დაუფლებაში.

*წყარო:* ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941; დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. 1, СПб., 1891.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორია, ტ. 3, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, რედ. მ. დუმბაძე, თბ., 1973.

**თ. ბერაძე**

---